# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 44

16 ივნისი 2016 წელი

ქ. ხობი

ერთის მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი“) მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N187, საიდენტიფიკაციო კოდი 244690394 საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის N CE04LB0121122634401000, სს „ლიბერთი ბანკი“-ს ხობის ფილიალი, ბანკის კოდიLBRTGE22 მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ბეჟან ნადარაიას სახით

და მეორეს მხრივ,შპს „ხომლი ენ“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი“), მისამართი: ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის #33 საიდენტიფიკაციო კოდი 212899434საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშისN GE82VT0500000027653608 ვითიბი ბანკი, ბანკის კოდი VTGE22მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ელგუჯა თავბერიძისსახით

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან კულტურის ცენტრის სამსახურისთვს ბეჭდური საშულაებების (წიგნების)

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რაოდენობა, ერთეულის ან მთლიანი ღირებულება

1.წიგნი „ეკლის გვირგვინი“18(თვრამეტი) ცალი(CPV22110000).

2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება –360(სამასსამოცი) ლარი.

3. შესასყიდი საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხარისხი საჭიროების შემთხვევაში სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტებთან შესაბამისობით

4. საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების, მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი

2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით

5. საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

უნაღდო ანგარიშწორებით.

**7. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

ეს მექანიზმი ამ შემთხვევაში არ გამოიყენება

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

პირველი მხარე ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება, მეორე მხარე ვალდებულია დროულად მიაწოდოს საქონელი .

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის**

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევისას უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

**10. ფორს-მაჟორული სიტუაციები**

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა**

მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 აგვისტომდე.

**13. დავების გადაწყვეტის წესი**

13.1 ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ინსპექტირება განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

14.2 ხელშეკრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან - ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სამსახური

მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხობის მუნიციპალიტეტის

კულტურის ცენტრის დირექტორი

ბეჟან ნადარაია

შპს „ხომლი ენ"

ელგუჯა თავზერიძე